ნახ. ვ. ფინდზალავასი

№ 14 (1384) ი ვ ლ ი ს ი 1972

ნიანგი

გამოცემის 49-ე წელი ფასი 20 კაპ.

— ჭოჭინებს რატომ აღარ აკეთებთ, ძია ამბაკო?!
—იმიტომ აღარ ვაკეთებთ, შვილო, რომ, ვინც ფეხი აიდგა, უველა ქალაქში გაიქცა!

მუდამ მეჯლისი, სიმთვრალე და დროს გატარება
უცხო ხალხთ თვალში თავსა გვჭრის და სახელსაც ვიტეხს
ჩვენ გვეძახიან ლოთებს და სხვას კიდევ უარესს
და ჩვენს ქველ საქმეს, ყველგან განთქმულს
ჩვენსა დიდებას
ფასიც, ღირსებაც უმცირდება ღვინის წყალობით.

უილიამ შექსპირი („ჰამლეტი“)

„ნიანგის“ სარედაქციო კოლეგია მორიდებით შეახსენებს ალკოჰოლის მოყვარულთ, რომ, ყველა იმ უბედურების გარდა, რაც მათ ალკოჰოლისგან სჭირთ, ახლახან დაწესდა: „სიმთვრალესთან დაკავშირებული მოქმედებით, აგრეთვე ზედმეტი ალკოჰოლის გამოყენებით გამოწვეული ავადმყოფობის დროს (ტრავმა, ალკოჰოლური ფსიქოზი, თეთრი ცხელება, ქრონიკული ალკოჰოლიზმი) საავადმყოფო ფურცლები ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობის დროს არ გაიცემა და დახმარება დროებითი შრომისუუნარობის გამო არ მიეცემათ“.



უსიტყვოდ.

— კიდევ იტყვიან, მფრინავი თეფშები არ არსებობსო?!

უსიტყვოდ.

მეტამორფოზა

ფული — შაქარი — თაფლი — ფული

აიფარა თუ არა ადამიანმა ვაზის ფოთოლი, იმ დღიდანვე ხელშეკრულება დადო ფუტკართან, სადაც ნათქვამი იყო: **„ვდებ რა ხელშეკრულებას ფუტკართან, ვალდებული ვარ, მოვუარო მას, ზამთარში შევფუთო, რომ ყინვამ არ შეაწუხოს, ზაფხულში მოვუჩრდილო, რომ არ დასიცხოს; გავუკეთო სკა, გავუსუფთაო ბინა, მივაწოდო საკვები, როდესაც დაკლდება; ვუმკურნალო, როდესაც ავად გახდება, ხელი შევუწყო მის გამრავლებას, ვახარო ის ხეხილი, ბალახ-ბულახი და ყვავილნარი, რომელიც მას ესიამოვნება.**

ეს ხელშეკრულება ძალაშია დღეიდან უკუნითი უკუნისამდე. ადამიანი“.

„ვდებ რა ხელშეკრულებას ადამიანთან, ვალდებული ვარ, დავუმზადო მას მაღალხარისხოვანი სამკურნალო თვისებების მქონე და კალორიებით სავსე თაფლი, მივაწოდო სურნელოვანი სანთელი, სამკურნალოდ მივცე შხამი და რძე, ჩავატარო აგროღონისძიებანი და მოვახდინო ხეხილის, ბოსტნების, ბაღჩებისა და მრავალი სხვა მცენარის დამტვერიანება.

აღნიშნული ხელშეკრულება ძალაშია დღეიდან უკუნითი უკუნისამდე. ფუტკარი“.

მხარეებმა ვალდებულებები გაცვალეს და შეუდგნენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მუხლების შესრულებას.

მაგრამ დაიწყო ახალი ხანა კაცობრიობის კვებაში: ეს იყო შაქრის ხანა.

ზოგიერთი სკეპტიკოსი ფუტკარი იმასაც კი ფიქრობდა, რომ ადამიანი დაარღვევდა ხელშეკრულებას, რომ მათ გადაშენება ელოდათ, რომ შაქარი შეცვლიდა თაფლს, მაგრამ პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ უზარმაზარი შაქრის ქარხნები ვერა და ვერ შეცვლიდნენ ფუტკრის ხორთუმს, სადაც ისეთი საოცარი მიკროსკოპული ქარხანა იყო მოწყობილი, რომლის საიდუმლოც აუხსნელი რჩებოდა ადამიანს.

ადამიანის ტვინის ხვეულებში ჩაბუდებულმა სატანამ დრო იხელთა, შაქრის კვნიტი ხელში შეათამაშა, დაალბო, დაადუღა და არყად აქცია, დაათრო, გამოაშტერა და დაწამლა ადამიანები, შემდეგ ჭაჭას წყალი დაასხა, შაქარი აურია და ღვინოდ მონათლული სუროგატით ალავერდს გადავიდა ადამიანებთან. არც ეს იკმარა და შაქრის ავადმყოფობა გაუჩინა ხალხს... ბოლოს პატიოსანი, შრომისმოყვარე ფუტკარიც გაათაღლითა: 90 კაპიკად იყიდა შაქარი, დაასხა წყალი და მიაწოდა ფუტკარს, ფუტკარმა სიროფი უხარისხო თაფლად აქცია და დაუბრუნა მას, მან ბაზარზე გაიტანა და 6 მანეთად გაყიდა. სატანა ზეიმობდა, არ ასვენებდა ადამიანს, სიროფის გადამუშავებაზე დრო იკარგებოდა, იკარგებოდა ფულიც. ამიტომ ახალი ვარიანტი შესთავაზა სატანამ ადამიანს: პირდაპირ სიროფისთვის დაერქმია თაფლი.

მოთმინება დაკარგეს ფუტკრებმა, მათ ფირმას სახელის გატეხა ელოდა, ამიტომაც განწირულებივით აბზუილდნენ და ნოტა წარუდგინეს ადამიანს:

„ათეული საუკუნეების წინ ჩვენ დავდეთ ხელშეკრულება ადამიანთან, რომელიც დღემდე სრულდება. ჩვენ ამ მხრივ პრეტენზიები არა გვაქვს, მაგრამ იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ ჩამორჩენილი იყო ტექნიკა, არ შეიძლებოდა გაგვეთვალისწინებინა მთელი რიგი გარემოებანი, კერძოდ ის, რომ შესაძლებელი იქნებოდა ჩვენს მიერ გამოშვებული პროდუქციის ფალსიფიცირება.

გვინდა კიდევ ერთხელ შეგახსენოთ, რომ ჩვენი პროდუქცია სამკურნალო თვისებებისაა, ხოლო ფალსიფიცირებული თაფლი მოკლებულია ამ თვისებებს. ამიტომ სამკურნალო მიზნით შეძენილი ეს პროდუქტი ვერ გამოიღებს სასურველ შედეგს და ადამიანის ჯანმრთელობა საფრთხეში აღმოჩნდება. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გთხოვთ, ხელშეკრულებაში შეიტანოთ შემდეგი პუნქტები:

1) აიკრძალოს ფალსიფიცირებული თაფლის დამზადება!

2) დაევალოს შესაბამის ორგანიზაციებს, მოახდინონ სარეალიზაციოდ გატანილი თაფლის ანალიზი!

3) მკაცრად დაისაჯონ ის ადამიანები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ფალსიფიცირებული თაფლის გაყიდვას! ფუტკარი“.

ადამიანმა შეიტანა აღნიშნული პუნქტები ხელშეკრულებაში და შეუდგა მის აღსრულებას.

და, აი თბილისის **კიროვის სახ. საკოლმეურნეო ბაზარში** თბილისელი **ვასილ ნიკოლოზის ძე ლუკინი** თაფლით გახურებულ გაჭრობაშია. მიაქვთ მისგან თაფლი — ზოგს გულისთვის, ზოგს კუჭისთვის, ზოგს წნევისთვის და ზოგს კიდევ პირის ჩასაგემრიელებლად. სატანა კი ხარხარებს, თაფლის ნაცვლად სიროფი რომ საღდება, ხარხარებს სატანა, პატიოსანი კაცის იერით რომ დგას **ლუკინი**, ხარხარებს სატანა, ჩუმად რომ არიან თბილისის ვეტსანიტარული სადგურის მუშაკები, ბზუის მხოლოდ ფუტკარი და მოითხოვს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პუნქტების შესრულებას.

ვასილ ნიკოლოზის ძე ლუკინი კი მომხვეჭელობის ფორმულით მოქმედებს: ფული — შაქარი — თაფლი — ფული! იაფი და იორღა!

ჟანი სიხარულიძე
გარი მეტრეველი

არლი თაყაიშვილი

ტრაგიკულად დაღუპვამდე ცოტა ხნით ადრე **არლი თაყაიშვილი** მისთვის ჩვეული კრძალვითა და რიდით შემოვიდა რედაქციაში და მოგვიტანა ახალი ნაწარმოები, რომელიც ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში დაიბეჭდა... და დაიბეჭდა უკანასკნელად!...

თურმე ულმობელი სიკვდილი სიცოცხლის 41-ე წელთან უცდიდა: სამუდამოდ წაართვა დაუხარჯავი ფიზიკური და გონებრივი ენერგია და ნაადრევად დაადუმა...

ა რ ლ ი თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ორ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ამშვენებდა „ნიანგს“ თავისი ხალასი, ბრწყინვალე ნიჭიერებით...

მისი სატირულ-იუმორისტული ქმნილებები — მოთხრობები დ ლექსები, ფელეტონები და იუმორესკები, მინიატურები და სკეტჩები, ნაკვესები და ფრაზები, თარგმანები და ნახატი კარიკატურების თემები, ხელმოწერილი სახელითა და გვარით, აგრეთვე ფსევდონიმებით — „ჰ ა რ ი ჰ ა რ ა ლ ი“, „ჰ ა რ ი ჰ ა რ ა ლ ი შ ვ ი ლ ი“, „ჩ ა რ ლ ი“ და სხვ., ყოველთვის იმსახურებდა „ნიანგის“ მკითხველთა საყოველთაო მოწონებას და სიყვარულს. მან, „ნიანგის ბიბლიოთეკის“ სერიით, გამოსცა რამდენიმე შესანიშნავი კრებული, რესპუბლიკურ პრესაში დაბეჭდა ბევრი სატირულ-იუმორისტული მასალა, რომელთა საუკეთესო ნაწილი ითარგმნა და გამოქვეყნდა რამდენიმე ენაზე.

სატირა და იუმორი ა რ ლ ი ს სტიქია იყო. მას ფრთიანი ფრაზის, მახვილგონიერი ხუმრობისა და იმპროვიზაციის საოცარი უნარი ჰქონდა: ასხივებდა, აფრქვევდა სიყვარულით შეზავებულ გულითად ღიმილს და აღტაცებაში მოჰყავდა ყველა, ვინც მას უსმენდა... ა რ ლ ი თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი სიამოვნებით, დაუზარებლად ასრულებდა რედაქციის თხოვნას და იყო ჩვენი ჟურნალის ერთ-ერთი ნყოფიერი და აქტიური ავტორი.

საუკეთესო ადამიანური თვისებებით დაჯილდოებული ჭეშმარიტი მამულიშვილი ყველგან და ყოველთვის გრძნობდა პასუხისმგებლობას, მთელი თავისი ცხოვრებითა და საქმიანობით განასახიერებდა კეთილშობილებას, პატიოსნებასა და სისპეტაკეს...

ა რ ლ ი თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი იყო კარგი ენათმეცნიერი, ტემპერამენტიანი პოლემისტი, მაღალი ინტელექტის, დიდი ცოდნისა და გემოვნების მკვლევარი ქართული მხატვრული ენისა; დიდი სიყვარულით უყვარდა მშობლიური სიტყვა, სწამდა მისი უკვდავება და თავდადებით ემსახურებოდა მას.

იგი სიკეთისათვის, მეგობრებისა და მეგობრობისათვის დაბადებული უშურველი, ხელგაშლილი და სულგრძელი კაცური კაცი იყო...

სრულყოფილ მოქალაქესა და მოალერსე ვაჟკაცს სხვებისთვის ზრუნვა და დახმარება თავის პირად მოვალეობად მიაჩნდა...

მას უყვარდა წარმოთქმა ვაჟა ფშაველას „ვედრების“ სტრიქონებისა: „გონებას ფიქრი სტანჯავდეს, გულს ცეცხლი სწვავდეს ძლიერი, მშიოდ-მწყუროდეს კეთილი, ვერ გავძღე, მოვკვდე მშიერი!“

...და ა რ ლ ი თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს — უღალატო და მომხიბვლელი პიროვნების ხანმოკლე, მაგრამ შინაარსიანი ცხოვრება და შემოქმედება ამ სტრიქონებით გამოიხატება.

ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციის კოლექტივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღოცვა მოთამინების ფიალით

იმ დილას პატივცემული ფარსმან გიორგის ძე ჩინებულ ხასიათზე გაღვიძდა. ადრე ადგა, ტანი სველი პირსახოცით დაიზელა, თოხლო კვეტებით, კარაქიანი პურით, არაკანით, რძიანი ყავით გემრიელად დანაყრდა და სამსახურისკენ მაცილონით გათვალისწინებული გასცრნებაც მოაწყო.

ამ დილით, პირველ რიგში, მეგობარ ქალთან უნდა დაეწერა და დამბადების დღე მიეღოცა.

დაკრიალებულ კაბინეტში შევიდა, საკაბელში მოხერხებულად მოთავსდა და ტელეფონს მიპყო ხელი.

— გეთაყვა, თუ შეიძლება, ქალბატონ თინათინს თხოვეთ!

— თინათინი არა, ნესტანდარეჯანი!

— მაპატიეთ, გეთაყვა! ეტყობა, იქ არ მოეხვედი.

მან ისევ აკრიფა ნომერი.

— ალო! ალო! უკაცრავად, ეს საკვლევი ინსტიტუტია?

— წაიღეს რა ტვინი, ფეხსაცმელების მაღაზიაა!

— მაპატიეთ, გეთაყვა, მაპატიეთ!...

ოდნავ ხიწყმხდარმა ფარსმან გიორგის ძემ საჩვენებელი და არათითი ოდნავ გაღიზიანებულად დაჭარა ყურმილის სადგომს, მერე კიდევ აკრიფა ნომერი.

— გეთაყვა, ქალბატონ თინას თხოვეთ!

— ვინაა, კაცო, ეს გ ე თ ა ყ ვ ა? არ გამომპათაყვანა კაცი?!. თქვენ ნომრის აკრეფა სწორად არ იცით? ბრუკიანია, ვიფიცავ!

ისევ მოურიდებლად დაუკიდეს ყურმილი. ისევ მორიდებით დარეკა.

— ინსტიტუტი?

— არა, გარაჟი!

— რა ნომერია თქვენი გარაჟი?

— ახლა, ინტერნეტი და კლიაუზნიკი თუ არა ხარ, რაში გაინტერესებს ჩვენი ნომერი?!

—რა შუაშია, ამხანაგო, ინტრიგანი?..

— წადი, წადი, საქმე ნახე!

დაუხეთქეს ყურმილი.

— ალო, თინას დაუძახეთ!

— რას ღრიალებ, რომ ღრიალებ?!

— მე თინა..

— თინა არა, მაშო არ გინდა?

— თქვენ უზრდელი ხართ...

— ეროთი შენ!..

ალარ დაელოდნენ, ეროთი კარგად შეუკურთხეს და ყურმილი დაუდეს.

—საიდან არის?

— იქიდან.

ტუ... ტუ... ტუ...

— თინას დაუძახეთ!..

— მე გაბლავართ!

— შენ?! ჰოდა, შენი გულისათვის... იცი... ადამიანი ხარ შენ? დაბადების დღის მოლოცვა მინდოდა და.. არც კი გრცხვენია!.. კეთილი, ბატონო, მე შენ სხვანირად მოგელაპარაკები! ამას მე ასე არ დაეტოვებ!..

ტელეფონი დაახეთქა, ლამის გაგიჟდა კაცი. უცბად ეზრზე მოვიდა: „თინა რა შუაშია?“ ისევ ეცა ტელეფონს, და ყველაფერი თავიდან დაიწყო...

ზურაბ ყორდანაშვილი

ამასწინანდელმა წყალდიდობამ გამოამჟღავნა ზოგიერთი მაღაზიის საწყობ-სარდაფებში გადამალული დეფიციტური საქონელი.

— წყალდიდობა შეაძლებ შენ და, რომ არ მომხდარიყო, ამ საქონლის ნახვა თვალით არ გვდრეესებოდა!

მოჩქარეს მოუგვიანდაო

საბადალმყოფოდან ვგლოდი გაწერას... მაგრამ არ მწერდნენ. მე კი მეტი მოცდა ალარ შეძელო. ერთ დღეს ჩვენს პალატაში ახალი ავადმყოფი მოიყვანეს. ამ ავადმყოფს ისეთი ოინი უნდა ვუყო, რომ... გამწერონ კი არა, საავადმყოფოდან სულ კისრის ტეხით გამაგდონ-მეთქი, გავიფიქრე გულში. იმ დღესვე ნაფიქრი სხვა ავადმყოფებს გავანდე ჩუმად და გეგმის განხორციელებას შევუდექი.

მეორე დღეს პალატაში შევედი.

— კაცო, დღეს მთავარი ექიმი ჩხუბობდა, მგონი ჩვენი პალატიდან ვიღაცას ოფლის ანალიზი არ ჩაუბარებია. — ვთქვი ხმამაღლა.

— ?!

— რომელი ანალიზი? — თვალები დააჭყიტა ახალმა ავადმყოფმა.

— რომელი და ჭრელ!ოფლის ანალიზი!— გავუჭავრდი.

— რომ არ ვიცოდი? — გაკვირვებისაგან ყბა მოეღრიცა ახალს.

— ჩვენ ჩავაბარეთ! — აიმაღლეს ხმა „შეთქმულმა“ ავადმყოფებმა.

— შენი გულისთვის ჩვენ უნდა გავილანძღოთ?! — ვუსაყვედურე მე.

— როგორ მოვიდნენ ეს ოხერი ოფლი?.. ჰა?!.. — იკითხა ახალმა. ხელად ჩაი დავალევინე, ორი ასპირინი მივეცი, დავაწვინე და დავფარე... მაგრამ რა დავფარე? ცხვირიღა უჩანდა საწყალს. მთელი დღე და ღამე ოფლში ცურავდა. ორ დღეში ოფლს ფენისაგან. სრულიად გაჯანსაღებული ჩემი „პაციენტი“ გაწერეს საავადმყოფოდან, მე კი კვლავ დამტოვეს საავადმყოფოში, ისიც კი მითხრეს, გამოჯანმრთელების შემდეგ, თუ გინდა, ჩვენთან დარჩი ექთანად, ავადმყოფების კარგი მოვლა გაცოდნიაო.

წარმოიდგინეთ ჩემი მწუხარება!

ეთერ დანელიშვილი

— ბაბალო ლაბარაკობენ რაღაც წერა ფიზიკაზეაზეა?
— არ ბაბალა? ქ ე ბ ნ ა ს ე ლ ს, ბ ნ ე ლ ი ღ ა ვ ო ბ.

არ დაგავიწყდეთ!

ერთ მშვენიერ დღეს ცოლმა მიბრძანა: ახლავე საპარიკმახეროში წადი და წვერი გაიპარსე, საღამოს სტუმრებს ველოდებითო. ვიცოდი, ასე ადვილად არ მომეშვებოდა და იმის შიშით, რომ ბანაობში წასვლაც არ დაემტგბინა, სასწრაფოდ გამოვვარდი სახლიდან. იქ ისეთი ამბავი იყო, გეგონებოდათ, პარიკმახერები თმების დამზადების წლიურ გეგმას ასრულებდნენ. გავიფიქრე, იქნებ სჯობს, უსაფრთხო სპარსი ვიყიდო და სახლში გავიპარსო-მეთქი, მაგრამ იქვე მომგაგონდა, რომ უსაფრთხოთი გაპარსვის შემდეგ, შესაძლოა, დონორი გავმზადიყავი და ოდეკოლონიც დამქირავებდა. პარფიუმერიის გახყოფილებაში ორომტრიალი იდგა... გავიფიქრე, ჩემსავით ყველას უსაფრთხო სპარსი უყიდია-მეთქი. უცებ ტალღამ რიგში მისროლა, გამოსვლა დავაპირე, მაგრამ რიგიდან გამოსვლა უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე შიგ მოხვედრა. ჩემი რიგიც დადგა: გამყიდველს ოდეკოლონი მოვთხოვე. მოღუშულ ქალს გაეღიმა, რა ხუმარა ყოფილხარო, მითხრა და უკრიდან რაღაც სხვა შუშა გამიიღო...

სახლში შევედი თუ არა, ცოლი ხელებში მეცა.

— სხვა ვერაფერი ვიშოვე, რა მექნა? — ჩავილაპარაკე და მკაცრი საყვედურის მოსასმენად მოვემზადე. მან ქაღალდი გახსნა და უეცრად კისერზე ჩამომეკიდა. თვალები დაეხუჭე, მერე ლოყაზე კოცნა ვიგრძენი და თვალები გავახილე... ცოლი ბედნიერი თვალებით მიყურებდა:

— დიდი მადლობელი ვარ ასეთი სუნამოსთვის! მე მეგონა, დაგავიწყდებოდა, რომ დღეს ჩემი დაბადების დღეა!

ანდრო კოკოლია

სანამ გვიან არაა!

— ალიო!..

— ალიო კი არა, ალიო, ბიბო! საოცარია, სად ისწავლე ეს ალიო? ნუთუ, ჯერ აღარ არის, ალიო და ალიო განასხვავო ერთმანეთისაგან? — მითხრა დეზდემონა ბიტიოლამ. ახლა, ცხვირთან ერთად, ლოყებიც გამიწითლდა და ყურმილი ხელიდან გამივარდა.

— ფრო, ეს იც ისწავლო!— ისევ დამაცქრა ბიტიოლაჩემი.— ეს თოხი კი არ არის, ტელეფონია, ამას მოფრთხილება სჭირდება. — ახლა, სიმწრის ოფლს რომ იტაკვიან, იმან დამასახა და, მუხლებში ძალგამოლეული, იქვე, ტახტზე, ჩამოვჯექი.

— გეწყინა? ეგ საწყენი არ არის. ერთი წუთით გავალ, შერას ვაჩვენებ! — ეს თქვა, ტანზე შემოტკლეული კაბით სარკის წინ ისე გაიარ-გამოიარა, ბიძაჩემს რომ არ უყვარს, და გავიდა.

კარგა ხანს ასე მუნჯურად ვიჯექი, შემდეგ გონებაში რამდენჯერმე „ალოო“ გავიმეორე და ყურმილი ფრთხილად ავიღე...

„...მაშ, ხვალ საღამოს, ან სამშაბათს დილაზე იყოს, ან შუადღისას, ანუ ღამე... ითხუბაბათ დილითი... ეთხოვ, ღრო დანიშნო; სამ დღეს კი არ გადაციოო, მერწმუნე, თვითონ გიგიც ნანობს, თუმცა მის ბრალი მცირედის, ჩუმის საყვედურის ღირსია მხოლოდ“.

— ვაიმე!..

ვიღაც ქალი ნარნარი ხმით გულიანად აკეკლუცობდა.

— „აქ მოდი ახლო, ჩემი გვრტიკოო!“ — არ დააყოვნა ქალური ჩანჩქერივით მეუბარე მამაკაცის ხმამ. უსაზღვრო ცნობისმოყვარეობით გაბრუებულმა ენა მუცელში გადავყლაპე და გავიტრუნე.

— „უცნაური ანრი მოგსვლია“. — ისევე გაკეკლუცდა ქალი.

— „დროა, შეუდგე, ქალბატონო, შენს ხელობასა; დაგვტოვე მარტო საყვარლები, ჩაკეტე კარი და თუ მოვიდეს ვინმე, მეცინავ ან ჩაახვევ...“

— უპასუხა მამაკაცმა.

— ვაიმე, ნენა! — მოულოდნელი უცნაურობით გაბეტონებულს ამომეკვა პირიდან.— რა ხდება ეს? ამას რას მოვეწარი!..

— „არ ვკარგავ იმედს, რომ მე უმაკოდ მიგაჩნიავრ“, — ეტყობოდა, თვალმინაბული პასუხობდა ქალი.

— „ოჰ, დეზდემონა, გა ჯეფდამ! გადი, მიმშორდი!“— უცბად იქუსა კაცმა.

დეზდემონას გაგონებაზე ნერწყვი გამაშრა. ეშვი აღარ იყო, მეორე ოთახიდან ტელეფონით ბიტიოლაჩემი ბიძაჩემის ოჯახს დანგრევას უპირებდა.

„ეგრძნობა მეშლება.ეროს მაგ სუნსა ვეწინააღ, ვგემოენეგ, ნეტაეი, ეხ ენ ა ანა ტკბილად არ მობილაპაკ!“. — ყურმილიის მეშვერანას ამოდიოდეს უპირებდა ბაბალა.

„ვაიმე ბედკრულს! რა ცოდვა ვქმენ ჩემდა ფარულად?“— აწრიპინდა გაიდვერა ბიტოლაჩემი.

— ღმერთო, რა შავ ქვად ავიღე ხელში ეს ტელეფონი! სირცხვილო, ეს რომ მიტუმე ბიძიეს შეიტყოს, ხომ დეინგრა ეს სიმწრით აშენებული ოჯახი?..

„ცოდვა ვქმენი!! ოჭ, როსკიპო, ნამუს ამდიღო!“ — ახლა არადამიანური ხმით იბღაველა კაცმა. ეს უკვე მეტისმეტი იყო... ნათეასური პატივმოყვარეობით აზზეფრეფულმა, ვეფარ მოვიიმინე ბიტოლაჩემის ასე აშკარად შეურაცხყოფა და მთელი ძალით ჩავყვარე ყურმილში:

— შენ, ეი, ვიღაც ხარ, შენ უპატრონო ხომ არ გგონიარო? მეეიდეს ერთი მიტუმე ბიძია სახლში და შენ გაჩვენებ სეირს!

მაგრამ უკვე გვიან იყო, ჩემი აღარავის ეესმოდა... „შენი ცოდვები მოინანიე!“ — ჰკუსდა მამაკაცი. — „სიყვარულია ჩემი ცოდვა“. — ტლიკინებდა ბიტოლაჩემი. „კიდევაც მაგისათვის მოკვდები დღეს შენ!..“

— უიმე! დეზდემონა ბიტოლა, ნუ გემინია! — ახლა მე ვიბღავდე შემინებულმა, ყურმილი გვერდზე მოვიქნიე და იქითა ოთახში გავვარდი. ტელეფონი თავის ადგილას იდო. დეზდემონა ბიტოლა კი არ ჩანდა, ერთ წუთში ყველა ოთახი შემოვირბინე, მერე რომ ვეღარ მივაგენი, მივხედი, რომ ბიტოლაჩემი სახლიდან გაპარულიყო. ისევ ტელეფონთან მივვარდი, რომ მიტუმე ბიძიისათვის ყველაფერი მეთქვა...

„მოგვწერეთ წერილები“ — გავიგონე მამაკაცის შეშვერილი ხმა, — „ჩვენი მისამართია თბილისი, რადიო...“ როგორც მივხედი, გარაფენილი მამაკაცი თავის მისამართს ტოვებდა.

— დეინგრა ოჯახი და ვსაა, — ერთი ეა იგივე მიტრიალებდა თავში. — უყურე შენ! — ზიზღით შევხედე ტელეფონს. — ახლა, მე რომ უმაღლეს დავამთავრებ, ცოლს შვერთავ და ოჯახი მეკნება, ტელეფონს დავიდგამ სახლში? ამას დავანგრევინებ ოჯახს? ვსაა სათუთი მეკანიზმი? ხალხო! გაალეთ ფანჯრები და გადააგდეთ ეს ცეცხლმოსაკიდებელი, სანამ გვიან არაა!

ნოდარ მალაზონია

როგორ გადარჩა მლიქვნელი

ერთხელ ბატონ ლომს ეახლნენ
მელა, ტურა და აფთარი,
ცოტა რამ ძღვენი მიართვეს, —
ნანადირევი ახალი.
მადლობა არ თქვა ბატონმა,
იწყინა მცირე სახრავი.
აფთარს დაუსვა შეკითხვა:
„როგორი მაქვსო სახლ-კარი?“
აფთარმა ჰკადრა გულწრფელად:
„თქვენი დიდება მყარია,
მაგრამ ბინა კი, ნუ მიწყენთ,
ვიწრო და თანაც მყრალია“.
ლომმა მას ტორი ჩათხლიშა:
„როგორ გაბედე, ავყიავ!..“
მერე კბილებით ათრია,
აფთარმა სული დალია.
მერე ტურიკოს მიმართა:
„შენ რაღას იტყვი, ნათლიავ?“
ნაზად შესჩხავლა ტურიკომ:
„ცოტა სინათლე გაკლიათ“.
ლომმა ბრჭყალებით დახია
ეს ენამწარე ნათლიაც...
მელა წკმუტუნებს: „ახია,
ორივე იყო ავყია,
მაგათი ჯიში ამოწყდეს,
რა დასანანი ხალხია?!
დიდებული გაქვთ სასახლე,
თქვენ არაფერი გაკლიათ.
მე ძღვენს მოგართმევთ ყოველდღე,
მუდამ თქვენი ყმა ვიქნები!“
ლომს ჩაეღიმა ულვაშში...
ასე გადარჩა მლიქვნელი.

მიხა შილდელი



— თქვენი ბრიყვი გაჰშვი კი არა, აგერ, ფრიადოსანი გვრჩება ინსტიტუტის გარეთ!

— ბრიყვი და უცოდინარი რომ არის, იმიტომ უნდა მიიღოთ, აბა, ფრიადოსანს რა სჭირს თქვენი სასწავლებელი?!



გადაწყდა: ამ შემოდგომაზე უსათუოდ შევირთავ ქალს!..

ეს გენიალური აზრი სწორედ მაშინ დამებადა, როცა ამხანაგური სახლის მშენებლობის თავმჯდომარეს ჩემი ოცი წლის ცოდვითა და დაგვით ნაგროვები ფულის უკანასკნელი მანეთები ხელის კანკალით ჩავუთვალე ხელში.

— საახალწლოდ ახალ ბინებში იქნებით! — გვითხრა სამუშაოთა მწარმოებელმა.

— აბა, შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ!— შეუძახეს აქეთ-იქიდან.

მომავალმა მეზობლებმა, მეორე დღისთვის, მომავალი სახლის მისადგომებთან დავთქვით შეხვედრა.

მართლაც, დილით, უკლებლივ ადგილზე ვიყავით და მოულოდნელი სიხარულისგან ადგილზე გავქვავდით: რიტმულად გუგუნებდნენ ექსკავატორები, ბულდოზერები... ოღროჩოღრო გზას ხვნეშით მიჰყვებოდნენ ვეება თვითმცლელები...

ყველაფერი ამ დილასავით ნათელი იყო... ჩვენი სახლის ბალავარს სჭრიდნენ. გახარებულები ერთმანეთს ვეხვეოდით, ვკოცნიდით, ვულოცავდით...

იმედებით ფრთებშესხმული ვბრუნდებოდი ჩემს პატარა, სტუდენტურ ოთახში. „ეს მშენებლები ძაან ყოჩაღი ხალხი ჩანს“, — ვფიქრობდი მე, — „ასე თუ გაგრძელდა, ავშენდი კაცი და ეგაა... ბარემ ცოტას დავიცდი... ქორწილს და ახალმოსახლეობას ერთად გადავიხდით“. სიხარულისაგან ისე ვიყავი გაოგნებული, რომ ჯიბეში უკვე ჩემი ბინის გასაღებების ჩხაკაჩხუკი მესმოდა. მაგრამ... ხომ გაგიგონიათ, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო? ვიღაც ისტორიკოსს, იმ ჩვენი ცოდვით სავსეს, თურმე ორმოში ერთი ძველებური ოქროს ფული უპოვია... ეს იყო და ეს...

ორმოს სასწრაფოდ შემოავლეს მესერი, დადგეს პატარა ჯიხური, დააყენეს დარაჯი, მისცეს თოფი და ჩვენ სათოფეზე აღარ მიგვიკარეს.

— არაფერია! — თავს ვინუგეშებდით ერთმანეთთან მეზობლობას დანატრებული მეზობლები, — ცოტა ხანს ამათაც თხარონ მიწა, მოსწყინდებათ და წავლენ, აბა, რას იზამენ?...

მაგრამ... (ჰოი, ეს მაგრამ!..) დღეები დღეებს მიჰყვა, თვეებს თვეები გადაება, თვალსა და ხელს შუა გაფრინდა ახალი წელი. ორმოში ჩამდგარი, ბაყაყებით სავსე დამყაყებული წყალი შეუდგა ჩვენი სახლის მშენებლობის საქმეს.

აი, ახლა, ვწევარ ჩემს ძველ სტუდენტურ ოთახში და ოცნებით იმ ჩვენი წინაპრის სურათს ვხატავ, გისაც ოდესღაც ის ერთი ოქროს ფული ეკუთვნოდა...

აგერ ისიც! გზის გასაყართან შექეიფიანებულ მეგობრებს დაემშვიდობა და სირბილით ფერდობზე დაეშვა... ნაქეიფარს, რასაკვირველია, დასცხა, შუბლზე ოფლმა დაასხა... შეისვენა... ჯიბიდან სატრფოს მოქარგული ცხვირსახოცი ამოიღო... შეუმჩნევლად ოქროს ფულიც ამოყვა და ბალახებში გაუჩინარდა.

სამასი წელი ეგდო ეს ოქროს ფული, თანდათან საუკუნეთა მტვერმა დაჰფარა და, აი, ახლა, მისმა შთამომავალმა იპოვა... ტყუილად როდი არის ნათქვამი, ქვეყნად არაფერი არ დაიკარგებაო.

ერთმა იპოვა და... ასმა დაჰკარგა... ძილი და მოსვენება... ბინა!

მე, რა თქმა უნდა, კარგა ხანია უნდა მყავდეს ცოლი, შვილი, რასაკვირველია, ვაჟი. სახელიც რა ხანია შერჩეული მაქვს. იცით, რას დავარქმევდი?!

— ოქროს!

ჯანსუღ ნიჟაბაძე

КОНТРОЛЬНЫЙ

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის

„ეოზნი“ — სასომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სატირისა და იუმორის ჟურნალი.

მარტიჩ კორიუნი

ი გ ა ვ ე ბ ი

გონივრული პასუხი

თექვსმეტი წლის უფლისწული მამის ტახტზე
დასვეს,
დაუპირეს ცოლის შერთვა, მან კი ბრძანა ასე:
„საქორწილოდ პატარა ვარ, ჯერ გამოხდეს
ხანი...“
გაიკვირვა ერთმა, ორმა, ხალხმა მისცა ბანი:
„თექვსმეტისა რომ შესრულდი, ჩაიბარე ტახტი,
მაშ, რა გიშლის ქორწინებას, შენ ხომ მეფე
გახდი?“
„იოლია ქვეყნის მართვა, პატრონობა თქვენი,
ხოლო ცოლს რომ უწინამძღვრო, უნდა იყო
ბრძენი!“

ვეშაპი და ბაყაყი

ვეშაპი იყო ბაყაყის დოსტი
და ერთხელ ანდო მაღალი პოსტი.
მაგრამ ბაყაყმა, გარდა ყიყინის,
არრა იცოდა... წაიღო ტვინი!
ბაყაყის სკამმა იწყო ლაყლაყი,
ადგა ვეშაპი, მოხსნა ბაყაყი.
ბაყაყის წყენას მოჰკარით ყური? —
„ვეშაპს ვჩრდილავდი, მომხსნაო შურით!“

ვირი ქორწილში

ერთ ქორწილში დაპატიჟეს ვირი,
ის კი დგას და ცხარე ცრემლით ტირის.
უთხრეს: „რად ხარ, ვირო, ასე მორცხვი,
გიხაროდეს, დაამშვენებ ქორწილს.
რას ღრიალებ, პატივია დიდი,
იქ ხომ მხოლოდ ღირსეული მიდის!“
ვირი ოხრავს: „ვაი ჩემი ბრალი,
ვიცი, უნდა მაზიდვინონ წყალი...“

დრამატურგი და ცარიელი დარბაზი

უნიჭობასაც გასაქანი ერთხელ მიეცა
და დადგეს ვაი-დრამატურგის მდარე პიესა.
ჰა, მიიწვიეს... დღე დაადგა დრამატურგს
შავი, —
იყო დარბაზი ცარიელი, ვით მისი თავი.
უთხრა რეჟისორს: „არ ყოფილხარ კაცი
სპეტაკი,
ხალხი არ არის და დანიშნე ამ დროს
სპექტაკლი!“

თაგვის შიში

თაგვს ჰკითხეს: „ამ ქვეყანაზე
შენთვის საშიში ვინ არი?“
მიუგო: „ჩემთვის კატაა
მხეცი ყველაზე მძვინვარი“.
„კი მაგრამ, რად დაივიწყე
ვეფხვი, ლომი თუ აფთარი?“
„ჩემთვის ძლიერი ის არის,
ვინც ჩემს საჭმელად მზად არი“.

ქათამი და ფუტკარი

ერთ საქათმეში ერთი ქათამი
კვირაში ერთხელ კვერცხსა დებდა დიდი
კაკანით.
იქვე ფუტკარმა გაიბზუილა:
„ჩემო ქათამო, რას კაკანებ აგრე ტყუილად?!
შენ დადე კვერცხი, მთელი კვირის
ნასათუთარი,
მაგრამ ათასჯერ შენზე მეტს დებს დედა
ფუტკარი.
ჩვენი შრომაა სარგო და სწრაფი,
რომ ხალხისათვის ვაკეთოთ თაფლი.
თუმც ჩვენც გვჩვევია გარჯა საქები,
მაგრამ ყვირილი ვიცით ნაკლები!“

სომხურიდან თარგმნა
სტეფანე მხარგრძელმა

ნახ. გ. გალსტიანისა

— ხომ ხედავთ, მარტო ბინისა და ავეჯისთვის არავინ მთხოულობს, თუ მშობლები ხართ, დიკლომიც მიშოვეთ!

ნახ. გ. იარალიანისა



— შენს ღორმუცელობას დააბრალე, სტუმრებს მოსწლამდე ასე იძნები გაკოჭილი!

სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე, (პ/გ. მდივანი), ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია (მხატვრული რედ.). გ. ნიშნიანიძე (მთავ. რედ. მოადგილე), ნ. შველიძე, ო. ჭელიძე. ⊙ სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“ ⊙ ტექნიკური რედაქტორი გ. კუბალაშვილი, ⊙ თბილისი, 93-10-78. ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის ბეჭდვითი ⊙ ბალანსზე № 42. ⊙ ფელ. 99-76-69 რედ. მოადგილის 93-49-32 საერთო განყ. 2/VIII-72 წ. ⊙ ⊙ ⊙

72-554 17/1972



დასავლეთის პრესის ცნობით, ჯალბატონ ჟაკლინ ონანის-კენედის ცხვირის ფორმა შედევრად ითვლებოდა, ამ ბოლო დროს კი მოდაშია ინგლისელ ტელეფილმ მემკვიდრის — ანას ცხვირი. ქალებს, რომლებიც ცხვირის შეცვლის მოდას არიან აყოლილნი, ყოველი პლასტიკური ოპერაცია — „ა ლ ა ა ნ ა“ 5000 დოლარამდე უჯდებათ.

Индекс 76137

თეთრკანიანი იოჰანესბურგელი, ვინმე ფრანსის დიუპონი, ფუტკრებმა ისე დაკბინეს, რომ გულშეღონებული მიწაზე დავარდა. სასწრაფო დახმარების მოსვლამდე, დიუპონს სახე და ხელები გაუშავდა. ადგილზე გამოცხადებულმა ექიმმა უარი თქვა დიუპონის საავადმყოფოში წაყვანაზე. მანქანა მხოლოდ... თეთრკანიან ავადმყოფებს ემსახურებაო.

როჩესტერელი მხატვარი — როი ჟუვერი სახლის პატრონმა ბინიდან გააძევა. გაბრაზებული მხატვარი, ღამით, მის ეზოს ეწვია და გასაშრობად გაფენილი თეთრეული აბსტრაქტული „ნახატებით“ გაუფორმა.



ნახ. ბ. ლომეიძისა

№ 554